იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის პაატა გოცირიძის სამოქმედო გეგმა (კონცეფცია)

ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც განათლებას საუკუნეობრივი ტრადიციები გააჩნია. მარტო ჩვენს კუთხეში არსებული იყალთოსა და გრემის აკადემიები რად ღირს საამაყოდ გასახსენებლად. ჩვენ ამ ტრადიციების მიმდევრები ვართ.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაც ხომ უკვე ათწლეულებს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ყოფილა როგორც წარმატებები, ისე სამწუხარო და მტკივნეული უკანსვლა, რისი მოწმენიც ამ ბოლო წლების მანძილზე ყველა ერთად ვართ. ეს იმ ფონზე, როდესაც ყველა უმაღლესი სასწავლებელი სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ამ გამოწვევებს ბევრმა უნივერსიტეტმა ადეკვატურად უპასუხა და საკმაოდ დიდი წარმატებებიც მოიპოვა. სამწუხაროდ, ჩვენი უნივერსიტეტი ამ პროცესებს ჩამორჩა.

ეს არის ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი, სადაც ვსწავლობდი, ვმუშაობდი, მე ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. სისხლხორცეულადა ვარ დაინტერესებული უნივერსიტეტის წარმატებებით და წინსვლით. მე კარგად ვიცი ის შესაძლებლობები და ადამიანური რესურსი, რაც უნივერსიტეტს გააჩნია იმისათვის, რომ მან ღირსეული ადგილი დაიკავოს არა მხოლოდ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და იყოს მოწინავე ფლაგმანი ამ სფეროში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ძირითადად, განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და დებულებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შესახებ. ამ უფლება-მოვალეობების აქ ჩამოთვლა ზედმეტად მიგვაჩნია. ერთს კი ვიტყვით - ამ დოკუმენტებისთვის საერთო არის ის, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, როგორც უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვის სფეროში უმაღლესი თანამდებობის პირი, მოწოდებულია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის გამართულად წარმართვას. სწორედ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მუშაობაზე არის დამოკიდებული, რამდენად ეფექტური იქნება უნივერსიტეტის ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მარგი კოეფიციენტი. ხელმძღვანელმა ისე უნდა გამართოს სისტემა, რომ მის შემადგენელ რგოლებს შორის კავშირი, ერთი მხრივ, და ამ რგოლების სისტემასთან მიმართება, მეორე მხრივ, იყოს სწორედ მოცემული უნივერსიტეტისთვის შესაბამისი და ოპტიმალური. პირველ რიგში, უმაღლეს სასწავლებელში შემუშავებული დებულებები თუ სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები უნდა იყოს სრულფასოვანი, კანონთან შესაბამისობაში მოსული, სრულყოფილი, კონკრეტულად გაწერილი ნორმებით და არაორაზროვანი. შესაბამისად,ჩემი მუშაობის პრინციპები იქნება: პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილება კონკრეტულ პირებს შორის დარეგულარული, მოწესრიგებული კომუნიკაციის დანერგვა სისტემაში.

ყველა დაწესებულებისთვის და, მათ შორის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისაც მნიშვნელოვანია კადრების საკითხი. საკადრო პოლიტიკა დაფუძნებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ პროფესიონალიზმსა და შესაბამის ეთიკურ ნორმებზე. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ გვავალდებულებს, რომ უნივერსიტეტში მუშაობდეს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი, რომლის ამოქმედების შემთხვევაშიც ყველანაირი პროცესი იქნება ღია, გამჭვირვალე და ვნებათაღელვას მოკლებული. პრინციპი და მიდგომა უნდა იყოს შემდეგი: ადამიანი თვითონ უნდა განსაზღვრავდეს თავის ადგილს საუნივერსიტეტოსივრცეში და აქედან უნდა ამოდიოდეს დამოკიდებულებები, მიდგომები, შეფასებები, კრიტიკა, შექება და ა. შ.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან, ეფექტურად და დროულად ასრულებდეს მათ გადაწყვეტილებებს.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრულფასოვნად უნდა ამუშავდეს ავტონომიურობის პრინციპი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, წარმომადგენლობითმა საბჭომ დამოუკიდებლად უნდა განსაზღვროს საფინანსო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა, უნივერსიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევები თუ პრობლემები. ჩემი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად არჩევის შემთხვევაში ყველა პროცესი, რაც დაკავშირებული იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ფინანსურ თუ ადამიანური რესურსების განკარგვასთან და სწორად გამოყენებასთან, იქნება ღია და საჯარო.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს თანხების მოძიება. ამის განხორციელების რამდენიმე გზა არსებობს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სახელმწიფო სტრუქტურებთან და, პირველ რიგში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობა. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ასეთი თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება აქვს. რამდენადაც იგი რეგიონის ერთადერთი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, მჭიდრო კონტაქტს დავამყარებთ მხარის ადმინისტრაციასთან და კახეთის მუნიციპალიტეტებთან. საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ რეგიონში მსხვილი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის არსებობათითოეული მუნიციპალიტეტისათვის ღირებული და მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას უნდა მოხმარდეს. მიზნობრივი გრანტების გაცემით კახეთის მსხვილი საწარმოები უნდა დავაინტერესოთ. საჭიროა მჭიდრო თანმაშრომლობა უნივერსიტეტს, ბიზნესსა და რეგიონალურ თუ მუნიციპალურ ხელისუფლებას შორის. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს ასეთი თანამშრომლობის დიდი გამოცდილება. ადმინისტრაცია ასეთი პროცესების ინიციატორად უნდა გვევლინებოდეს. უნივერსიტეტის კვლევითი ლაბორატორიები და ბაზები იმდენად უნდა გაძლიერდეს, რომ სერიოზული ფინანსების სერიოზული შემომტანი გახდეს დაწესებულებაში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მენეჯერულ თვისებებზეა დამოკიდებული თუ როგორ გამართულად იმუშავებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი, რომლმაც თავისი საქმიანობით ხელი უნდა შეუწყოს

სტუდენტების მოზიდვას და ამით უნივერსიტეტის საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას.

ამ მხრივ, ვფიქრობ, უნივერსიტეტში აკადემიურ პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობით კახეთის რეგიონში ავამოქმედოთ საუნივერსიტეტო ტელევიზია, რომელიც მთლიანად საგანმანათლებლო-შემეცნებითი საქმიანობით იქნება დაკავებული და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქებით თელავის უნივერსიტეტის მძლავრ პოპულარიზაციას მოახდენს. ამ საკითხებზე კონსულტაციები გავლილი გვაქვს და მისი განხორციელება დიდ ფინანსებსა და ძალისხმევას არ მოითხოვს, შედეგები კი უმოკლეს პერიოდში დადებითად აისახება უნივერსიტეტის ცხოვრებაზე.

უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით აუცილებელია შიდა საგრანტო სისტემის განვითარება, რაც მეცნიერთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. გრანტების გაცემა უნდა იყოს გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს შესაბამის დებულებას.

ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იქნება აკადემიური და დამხმარე პერსონალისათვის ხელფასების სისტემატიური ზრდა. ამავე დროს, თანამშრომელთა პრემირების საკითხი დაკავშირებული უნდა იყოს მათ ინდივიდუალურ თუ გუნდურ მიღწევებზე და არა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებზე. ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ფინანსების მოზიდვასა და მის მიზნობრივად განაწილებაში მდგომარეობს. ვფიქრობ, ამ საქმეში უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ამოქმედება მნიშვნელოვანი იქნება. ამ საქმეში სერიოზული ფინანსების მოზიდვა კი, დაკავშირებულია უცხოლ სტუდენტებთან. ვინც კარგად იცნობს უმაღლესი განათლების სისტემას, მისთვის ცხადია, რომ განათლების ინტერნაციონალიზაციის გარეშე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ გახდება მდგრადი და სტაბილური ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში. ჩვენ ხელგვეწიფება, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავების შემთხვევაში, უნივერსიტეტში მოვიზიდოთ უცხოელი სტუდენტები და ამით ხელი შევუწყოთ როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტის ზრდას, ისე ქალაქის ეკონომიკურ კეთილდდღეობას.

უნივერსიტეტში ყველა ღონისძიება სტუდენტთა კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ ჩემი საქმიანობა სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია. ყველაფერი, რაც უნივერსიტეტში კეთდება ახალგაზრდების პროფესიონალებად ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს. განსავითარებელია მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სამეცნიერო მუშაობაში აქტიურად ჩაბმული სტუდენტების ფინანსური წახალისების სისტემა. ამავე დროს, რადგანაც „სტუდენტობა უბედნიერესი ხანაა“ ადამიანის ცხოვრებაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ყველანაირად უნდა შეუწყოს ხელი, რომ მათ ამ სიტყვების ჭეშმარიტება შეიგრძნონ. სტუდენტების არც-ერთი წამოწყება არ დარჩება ჩვენი მხრიდან მხარდაჭერის გარეშე.

კონცეფციის შემუშავების პროცესში კონსულტაციები გვქონდა უნივერსიტეტის კომპეტენტურ პირებთან. ამ კონსულტაციების შედეგად გამოვკვეთეთ პირველ რიგში

განსახორციელებელი სამუშაოები ინფრასტრუქტურისა და სტუდენტებისათვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. სამუშაოები პრაქტიკულად ჩასატარებელია ოთხივე სასწავლო კორპუსში. გარდა ამისა, შევეცდებით შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის დაინტერესებას, როგორც სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის, ისე საცურაო აუზის ასამოქმედებლად.

პირველ კორპუსში ჩასატარებელი სამუშაოებიდან ჩვენ გამოვყოფთ: მესამე და მეოთხე სართულების სარემონტო სამუშაოებს; სასწავლო კორპუსის გარე ფასადის წესრიგში მოყვანას;

მეორე სასწავლო კორპუსში: სახურავის შეღებვას, მეტალო-პლასტმასის ფანჯრების ჩასმის დამთავრებას, სარემონტო სამუშაოებს;

მესამე სასწავლო კორპუსში: სახურავის შეკეთებას, სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, კარ-ფანჯრების მეტალო-პლასტმასით ჩანაცვლებას;

მეოთხე სასწავლო კორპუსში: ახალი სახურავით გადახურვას, სარემონტო სამუშაოების დასრულებას, მისასვლელი გზის მოასფალტებას;

სპორტულ დარბაზში გათბობის გაყვანას და ყველა ფაკულტეტისათვის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით გაწყობილი რამდენიმე აუდიტორიის მოწყობას;

ბიბლიოთეკაში: წიგნადი ფონდის (მათ შორის ციფრულ მატარებელზე) შევსებას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ჩემი არჩევის შემთხვევაში, ჩემი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტი იქნება ადამიანი, ზრუნვა მის კეთილდღეობასა და პროფესიულ ზრდაზე. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენ ერთად შევძლებთ უნივერსიტეტის უკეთესი მომავლის შექმნას.